



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/94

„ 12 „ ნოემბერი 2014წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის მიერ 2014 წლის 15 იანვარს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერი (CON140000015) არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები) გატანა - სითხის სახით სახელმწიფო შესყიდვაზე არ შედგა, რის შემდგომაც ახალი ტენდერი არ გამოცხადებულა. სატენდერო კომისიის 2014 წლის 31 იანვრის სხდომის ოქმით დამტკიცებული რეკომენდაციის შესაბამისად, „სახელმწიფო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, იმ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც 2014 წლისთვის ესაჭიროებათ ევროდიზელი გატანა - სითხის სახით, აღნიშნული საწვავის შესყიდვა უნდა განხორციელონ იმ მიმწოდებლისგან, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემაში არსებული ელექტრონული პროცედურის გამოცხადების ან ბაზრის კვლევის შედეგად შესთავაზებს მათ იმაზე დაბალ ფასს, ვიდრე CON140000001 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის (რომპეტროლ საქართველო) ფასი იქნება იმ დღის მდგომარეობით, როდესაც მოხდება საწვავის შესყიდვის თაობაზე მოთხოვნის (პერიოდისა და მოცულობის მითითებით) გაგზავნა შესაბამის მიმწოდებელთან. CON140000001 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის ფასზე დაბალი ფასის შეთავაზების არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2014 წლის განმავლობაში საჭირო ევროდიზელის შესყიდვა სითხის სახით უნდა მოახდინოს CON140000001 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლისგან (რომპეტროლ საქართველო) არაუმეტეს ევროდიზელის (გატანა - ავტოგასამართი სადგურიდან) შესაბამისი დღის კონსოლიდირებული ტენდერის ფასად და შემსყიდველი ორგანიზაციის ხარჯებით ტრანსპორტირების პირობით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უნდა მოხდეს ევროდიზელის არაუმეტეს ერთი თვის მარაგის შესყიდვა ყოველ ჯერზე“.

მიმდინარე ეტაპზე ფოთის საქალაქო, ცაგერის რაიონული და 15 მაგისტრატი სასამართლოს (ადიგენი, თიანეთი, ლენტეხი, მარტვილი, მესტია, ტყიბული, ქედა, შუახევი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, წყალტუბო, ხარაგაული, ხობი, ხონი, ხულო) გათბობის სისტემების შეუფერხებლად მუშაობისთვის, აღნიშნული სასამართლოების იურიდიულ მისამართზე მიწოდების პირობით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტს ესაჭიროება დაახლოებით 60 000 ლიტრი EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები) სითხის სახით. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად, მითითებული საწვავის შესყიდვაზე მოთხოვნა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ დაეგზავნა შიდა ბაზარზე არსებულ ნავთობპროდუქტების ხუთ ძირითად მსხვილ მიმწოდებელს, რომელთაგან მხოლოდ

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ“ დააფიქსირა შეთავაზება საწვავის მიწოდებაზე ტრანსპორტირების ჩათვლით - 1 ლიტრი 2,08 ლარად, რაც აღემატება CON14000001 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის (რომპეტროლ საქართველო) შესადარებელ ფასს. აღნიშნულის შემდგომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა საკუთარი ხარჯებით ტრანსპორტირების პირობით, შპს „რომპეტროლ საქართველოდან“ საწვავის შესყიდვის საკითხი. შიდა ბაზარზე არსებულ ნავთობპროდუქტების როგორც მიმწოდებელ, ასევე გადამზიდავ ორგანიზაციებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად ვერ იქნა მოძიებული ისეთი კომპანია, რომელიც საწვავის გადაზიდვასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების დაცვით, შეძლებდა შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ბაზებიდან განხორციელებინა კონკრეტულ სასამართლოში თითოეულ ჯერზე მისატანი საწვავის მიწოდება, ვინაიდან არც ერთ მათგანს, გარდა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასი“ (რომელიც, თავის მხრივ, თანახმაა გადაზიდოს მხოლოდ საკუთარი საწვავი), არ აღმოაჩნდა საჭირო რაოდენობების შესაბამისი დანაყოფების მქონე საწვავის გადამზიდავი ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დასაფიქსირებლად საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა წერილობით მიმართა 2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას, რომელიც არ არის წინააღმდეგი 60000 ლიტრი ევროდიზელის (1 ლიტრი 2.08 ლარად) სითხის სახით შესყიდვაზე შესაბამისი ხელშეკრულება საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ გაფორმდეს კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“.

ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით აუცილებელია საერთო სასამართლოების გათბობის სისტემებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა, რათა სასამართლოებმა შეძლონ ნორმალურ რეჟიმში მუშაობა. შექმნილი მდგომარეობის დაუყოვნებლივ მოგვარების საჭიროების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ) თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი